როგორ ვასწავლოთ ბავშვის უფლებათა კონვენცია საბაზო საფეხურზე?

გამოხატვის თავისუფლება

მოამზადა ნინო გვარამაძემ

წინამდებარე რესურსი ეხება ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლების გააზრებას - გამოხატვის თავისუფლებას.

მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებები მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე; ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად.
2. ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა, მოუსმინონ მას სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ბავშვს ეხება როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით გათვალისწინებული წესით.

მე-12 მუხლი ასევე განიხილება როგორც ბავშვის მონაწილეობის უფლების მიმნიჭებელი. თუ ხდება ბავშვის აზრის მოსმენა და მისთვის ყურადღების დათმობა იმ საკითხებში, რომლებიც ბავშვს ეხება, მაშასადამე, ის მონაწილეობს ამ საკითხების გადაწყვეტაში.

მუხლი 13

1. ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი.

ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საზღვრების არსებობის მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან იდეა ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, ბავშვის არჩევანისამებრ.

2. ამ უფლების განხორციელება, შესაძლოა, ერთგვარად შეიზღუდოს, მაგრამ ეს შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი უნდა იყოს:

ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის;

ბ) სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის, ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის.

მრავალი წლის მანძილზე მიაჩნდათ, რომ ბავშვებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, აზრი გამოეხატათ, მაგალითად, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რომ ბავშვებს, „რაციონალური“ ზრდასრულებისგან განსხვავებით, არ აქვთ პოლიტიკური უფლებები.

თანამედროვე დემოკრატიული ფილოსოფია ცვლის პარადიგმას და ამბობს, რომ ბავშვები თანასწორი, ღირსების მატარებელი, სრულფასოვანი მოქალაქეები არიან და თანაბრად სარგებლობენ ყველა სიკეთით, რომელსაც საზოგადოება იღებს ადამიანის უფლებების აღიარებითა და რეალიზებით.

თანამედროვე პარადიგმა აღიარებს, რომ ბავშვებს, როგორც მომავალ სრულწლოვან მოქალაქეებს, აქვთ ლეგიტიმური ინტერესი, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მიიღონ და გასცენ ინფორმაცია პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ სხვა თემებზე. მათ სურთ კრიტიკულად შეაფასონ მოვლენები და ამისთვის სვამენ უამრავ შეკითხვას. ცდილობენ, მოიპოვონ ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვან საკითხზე და შემდეგ გამოთქვან თავიანთი აზრი.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ასახავს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებს. გარდა ამისა, ყურადსაღებია, რომ ეს მუხლი ითვალისწინებს არა მარტო ბავშვის მიერ აზრის გამოხატვის უფლებას, არამედ ინფორმაციის მიღების უფლებასაც. სწორედ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, შეზღუდვები გულისხმობს ასაკობრივ თავისებურებებს, ძალადობის შემცველ ეპიზოდებს და სხვა ზიანის მომტან ინფორმაციას.

რამდენიმე მნიშვნელოვანმა საქმემ ჩამოაყალიბა ბავშვთა გამოხატვის თავისუფლების გაგება, მათი უფლებებისა და საზოგადოების საჭიროებებთან ბალანსის დამყარებით.

ერთ-ერთი ცნობილი სასამართლო საქმეა „ტინკერი დე-მოინის დამოუკიდებელი სათემო სასკოლო ოლქის წინააღმდეგ“ (1969), რომელიც ამერიკის ერთ-ერთ შტატში გაიმართა. მას შემდეგ, რაც სკოლის მოსწავლეებმა გაიგეს ვიეტნამის ომის შესახებ, თავიანთი პროტესტი გამოხატეს ვიზუალურად – სკოლაში გაიკეთეს შავი სამხრეები. ასე გააპროტესტეს ომი, რომელმაც მრავალი ბავშვის სიცოცხლე შეიწირა. ეს იყო ერთ-ერთი ცნობილი საპროტესტო აქცია იმ დროის ყველაზე მწვავე პოლიტიკურ მოვლენაზე. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოსწავლეები, რომლებიც ვიეტნამის ომის წინააღმდეგ შავ სამკლავურებს ატარებდნენ, დაცულნი იყვნენ პირველი შესწორებით (აშშ კანონმდებლობიდან), თუ მათი ქმედებები არსებითად და მატერიალურად არ არღვევდა საგანმანათლებლო გარემოს.

მეორე ცნობილი საქმეა „ბეთელის სასკოლო ოლქი No. 403 ფრეიზერის წინააღმდეგ“ (1986).

ეს საქმე ეხებოდა მოსწავლის უხამს და შეურაცხმყოფელ გამოსვლას სკოლის შეკრებაზე. უზენაესმა სასამართლომ დაიცვა სკოლის უფლება, დაესაჯა მოსწავლე დისციპლინური ზომებით. განასხვავა ეს საქმე ტინკერისგან იმით, რომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკოლებს აქვთ ლეგიტიმური ინტერესი წესრიგის დაცვასა და შესაბამისი ქცევის სწავლებაში.

მოყვანილი მაგალითები აჩვენებს, რომ გამოხატვის თავისუფლების სწავლებასთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს შეზღუდვებსაც.

აქტივობები გაკვეთილისთვის

მიზანი

მოსწავლეებმა გაიაზრონ, რას ნიშნავს გამოხატვის თავისუფლება, მისი მნიშვნელობა; გამოიყენონ გამოხატვის სხვადასხვა ფორმა (სიტყვიერი, ხელოვნებით, წერილობითი).

აქტივობა 1
მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- რას ნიშნავს „გქონდეს ხმა“?
- უნდა ჰქონდეთ თუ არა ბავშვებს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება?
- ვინ უნდა მოუსმინოს ბავშვებს?

აქტივობა 2

მინი ლექცია

მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლებს მარტივი ენით:

მუხლი 12: ბავშვებს აქვთ უფლება, გამოხატონ საკუთარი აზრი და აქვთ უფლება, რომ მოუსმინონ მათ.

მუხლი 13: ბავშვებს აქვთ უფლება გამოხატონ აზრი სხვადასხვა გზით — სიტყვით, წერილობით, ხელოვნებით და სხვა საშუალებით.

აქტივობა 3

მოსწავლეებმა დახატონ ან დაწერონ ფერად ფურცლებზე - „რა საკითხზე მინდა, რომ მოუსმინონ ჩემს ხმას?“

მაგალითად: სკოლის კვება, თამაშის დრო, გარემოს დაცვა და სხვ.

შემდეგ გააზიარონ სურვილისამებრ.

აქტივობა 4

მოსწავლეები პატარა ჯგუფებად იყოფიან და ქმნიან მინი სცენარს:

- ერთი ბავშვი ცდილობს აზრის გამოთქმას;
- მეორე – არ უსმენს;
- მესამე – მხარს უჭერს, რომ მოუსმინონ.

შემდეგ განიხილავენ:

- როგორ იგრძნო თავი პერსონაჟმა, რომელსაც არ მოუსმინეს?
- რას ვგრძნობთ, როცა ჩვენს ხმას ისმენენ?

აქტივობა 5

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს მოკლე სცენარს, რომელშიც გამოხატვის უფლება ითხოვს შეზღუდვას.

მაგალითად: მოსწავლემ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ კლასში დაკარგული ნივთი მათი კლასელის (გვარი და სახელიც დაასახელა) აღებულია. მასწავლებელს შეუძლია მოაწყოს დებატები - ჰქონდა თუ არა მოსწავლეს ასეთი გზავნილის გაგზავნის უფლება? აქ გასათვალისწინებელია რეპუტაციის შელახვის საკითხი.

აქტივობა 6

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ თუ რა ფორმით შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი აზრი. ასევე, შეიძლება გაკეთდეს დაფა (ან კუთხე), რომელზეც მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ აზრს ერთი წინადადებით, ლექსის სახით, ნახატით ან რაიმე სხვა ფორმით მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

ბიბლიოგრაფია

1. ბავშვის უფლებათა კონვენცია
2. "მედია დიეტიდან" ბავშვის გამოხატვის თავისუფლებამდე - ანა აბაშიძის ბლოგი
3. cases on the Freedom of expression of the child - Google Search